

შპს ბასმოტორს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ბასმოტორს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
3. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ	7
2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი	7
3. საადგივო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	9
5. ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	11
6. გუდვილი	11
7. მარაგები	11
8. ამონაგები	12
9. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა	12
10. სავაჭრო მოთხოვნები	13
11. სავაჭრო ვალდებულებები	13
12. ფინანსური და საოპერაციო იჯარა	14
13. შრომის ანაზღაურება	14
14. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	14
15. წარმომადგენლობითი ხარჯები	14
16. ქონების გადასახადი	14
17. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	15
18. დივიდენდის განაწილება	15
19. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა	15
20. დამატებითი ღირებულების გადასახადი	15
21. მოგების გადასახადი	15
22. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა	16
23. ბალანსები გარიშგებები დაკავშირებულ მხარეებთან	16
24. ანგარიშგების გადანაწილება/შესწორება გამოცემის შემდეგ	16
25. ბალანსის შემდგომი მოვლენები	16
26. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი	17

შპს ბასმოტორს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება**

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი			
ძირითადი საშუალებები	1,940,242	2,328,290	2,716,338
არამატერიალური აქტივი	1,537,982	1,464,181	1,509,532
საინვესტიციო ქონება			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში			
	3,478,224	3,792,471	4,225,870
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2,844,264	923,020	547,234
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2,990,740	1,701,912	1,686,207
გადახდილი ავანსები	301,545	755,435	526,277
მარაგები	4,041,620	5,052,691	3,374,521
სხვა აქტივი	312,648	98,798	174,995
	10,490,817	8,531,856	6,309,234
მთლიანი აქტივები	13,969,041	12,324,327	10,535,104
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	0	706,796	642,369
გაუნაწილებელი მოგება(დაგროვილი ზარალი)	10,572,447	7,908,422	6,194,761
გადაფასების რეზერვი			
	10,572,447	8,615,218	6,837,130
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	2,747,194	3,247,176	3,555,990
სხვა გადავადებული გადასახადი	0	0	0
	2,747,194	3,247,176	3,555,990
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	42,881	121,167	85,600
მიღებული ავანსები	355,887	246,440	6,917
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	36,000	90,000	45,112
საგადასახადო ვალდებულებები			
	214,631	4,326	4,355
	649,399	461,933	141,984
მთლიანი ვალდებულებები	3,396,593	3,709,109	3,697,974
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	13,969,040	12,324,327	10,535,104

დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ

დირექტორები: რუსლან ბასილაძე

ამირან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე

შპს ბასმოტორს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება		
	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები	20,997,509	15,132,252
საქონლის გაყიდვიდან	20,274,249	14,513,614
მომსახურების გაწევიდან	728,295	621,486
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	(5,035)	(2,848)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება: საერთო მოგება	(16,717,826)	(11,737,040)
	4,279,683	3,395,212
სხვა შემოსავლები/ხარჯები	653,750	1,041,939
დასაქმებულთა ანაზღაურება	(523,582)	(464,512)
ცვტა და ამორტიზაცია	(77,320)	(65,934)
საპროცენტო ხარჯი	(175,856)	(224,004)
იჯარის ხარჯი	(99,871)	(64,721)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	(164,755)	(165,490)
მოგების გადასახადის ხარჯი	(5,433)	(8,637)
ძირით საშუალო გადაფასების რეზერვი	8,406	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	3,895,022	3,443,853

დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ

დირექტორები: რუსლან ბასილაძე

ამირან ბასილაძე

მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე

შპს ბასმოტორს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	31/12/2024	31/12/2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	19,772,118	15,101,627
მიღებული აგანსები	2,179,552	1,965,537
მომწოდებელზე გადახდილი თანხები	(7,064,863)	(8,690,716)
ანგარიშ ვალდებულ პირზე გაცემული თანხები	(721,087)	(593,556)
თანამშრომელზე ხელფასის სახით გაცემული თანხები	(467,100)	(316,899)
აგანსის სახით გადახდილი ფულადი სახსრები	(7,689,915)	(3,857,456)
გადახდილი გადასახადები	(2,244,905)	(2,309,126)
სხვა გადასახადები	(292,754)	(100,972)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	3,471,046	1,198,439
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(114,182)	(8,484)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		144
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(114,182)	(8,340)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავალი სავალუტო გადაფასებიდან		(27,413)
კაპიტალიდან შემოსული ფულადი სახსრები		64,427
შემოსავლის დივიდენდის სახით		20,000
გასავალი სავალუტო გადაფასებიდან	(135,302)	
მოკლევადიანი სესხის დაფარვა	146,963	35
გრძელვადიანი სესხის დაფარვა	(455,033)	(401,628)
სასესხო პროცენტის დაფარვა	(175,510)	(224,034)
გადახდილი დივიდენდები	(109,941)	(215,526)
კაპიტალი გატანა	(706,797)	(20,000)
სხვა ვალდებულება		(10,175)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,435,620)	(814,314)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	923020	547,233
ფულადი სახსრების ექვივალენტების მოძრაობა წლის განმავლობაში	1,921,244	375,785
ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ზღაპსი	2,844,264	923,018

დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ
დირექტორები: რუსლან ბასილაძე
მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე

ამირან ბასილაძე

შპს ბასმოტორს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის
ცვლილებების ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი პერიოდის დასაწყისში	8,615,220	5,353,810
საწესდებო კაპიტალი შემოსვლა		64,427
საწესდებო კაპიტალი გასვლა	(706,796)	(20,000)
გაცემული დივიდენდი	(115,727)	(226,870)
მიმდინარე წლის მოგება ზარალი	3,895,022	3,443,853
ცვლილებები მოგება ზარალში	(1,115,272)	
სულ საკუთარი კაპიტალი	10,572,447	8,615,220

დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ

დირექტორები: რუსლან ბასილაძე



ამირან ბასილაძე



მთ.ბუღალტერი: ლალი გორგილაძე



1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ**მშობელი კომპანია**

შპს „ბასმოტორს“ დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2014 წლის 31 მარტს, რეგისტრაციის ნომერი - 18193221. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 445 440 489

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი ფრ. ხალვაშის 81ა

საზოგადოების დამფუძნებლები/დირექტორები:

ამირან ბასილაძე პ/ნ 61009003764 - 50%-იანი წილის მფლობელი/დირექტორი

რიმა ბასილაძე პ/ნ 61001082368 - 50 %-იანი წილის მფლობელი.

რუსლან ბასილაძე პ/ნ 61009001673-დირექტორი

ძირითადი საქმიანობა:

საცალო ვაჭრობა ტექნიკებით, ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით.

ტექნიკაზე რემონტი და ტექნიკური მომსახურება.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს და კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებს ერთობლივ საწარმოში .

შვილობილი კომპანია

შპს „შპს აი დი პი გრუპ“ დაფუძნებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2007 წლის 12 მარტს, რეგისტრაციის ნომერი - B25035291. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 205 196 820

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი, N270

საზოგადოების დამფუძნებლები/დირექტორები:

შპს ბასმოტორს ს/კ 445440489 - 100%-იანი წილის მფლობელი

ამირან ბასილაძე პ/ნ 61009003764 - დირექტორი

ძირითადი საქმიანობა:

ფართის იჯარით გაცემა

შვილობილი საწარმოს დასახელება	საქმიანობის ქვეყანა	წილის ფლობის პერიოდი	საქმიანობის სახე	წილის ფლობა 2024წ მდგომარეობით
შპს აი დი პი გრუპ	საქართველო	2020 წლის 10 იანვარი	ფართის იჯარით გაცემა	100%

-ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს.

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი:

ა) წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

-საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ.

-საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

-ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის(მსს ფასს).

-საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

-ჯგუფის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

-ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორები.

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის შერჩეული ფორმა და მეთოდები

ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა -კომპიუტერული პროგრამა „ ორის ბუღალტერიის“ მეშვეობით.

გ) შესაბამისობის განცხადება

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის მეოთხე წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს)საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის

ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მესამე კატეგორიის კომპანიებისათვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

დ) ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

ე) შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ვ) შვილობილი კომპანიები

შვილობილი საწარმო არის საწარმო რომელსაც აკონტროლებს მშობელი საწარმო, კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკურ სარგებლობის მიღებას. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს როდესაც მშობელი საწარმო პირდაპირ ან არაპირდაპირ შვილობილი საწარმოების მეშვეობით ფლობს საწარმოს ხმის უფლებას ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. ჯგუფის წევრებს შორის შემდგომ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ა) ფულადი ნაკადების აღრიცხვა-ანგარიშგება

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბუღალტრული ოპერაციები იწარმოება როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო, ლირა), იმ დღით დაწესებული ეროვნული ბანკის დადგენილი კურსის მიხედვით.

კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია პირველადი დოკუმენტებით, მიღებული ინფორმაციებითა და შესაბამისი ბუღალტრული გატარებების საფუძველზე.

ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში ლარში;	2024წ	2023წ
	433.713	295.011
ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში USD;	2024წ	2023წ
	225.994	0
ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში EURO;	2024წ	2023წ
	606.000	222.592
ნაშთი ფულად ერთეულში ეროვნულ ვალუტაში TL;	2024წ	2023წ
	3601	19 000

ბ) ანგარიშსწორების ფორმა

საზოგადოება ანგარიშსწორებას აწარმოებს როგორც უნაღდო ასევე ნაღდი ანგარისწორების ფორმით.

გ) ანგარიშგების ვალუტა

ანგარიშგების საოპერაციო ვალუტა წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში-ლარი.

დ) უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები ასახულია ანგარიშგების ვალუტაში ოპერაციების მოხდენის დღისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული საბალანსო მუხლები შეფასებულია მიმდინარე კალენდარული წლის 31.12-ით სავალუტე კურსის შესაბამისად.

USD/ლ EUR/ლ TRY/ლ

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს

2.8068 2.9306 0.0795

კურსთა შორის სხვაობის შემდეგ მიღებული მოგება ან ზარალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადატანილია ფინანსურ შედეგებზე, მოგება ზარალში.

4. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.

ა) აღიარება და შეფასება:

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღრიცხება თვითღირებულებით ან რეალური ღირებულებით. კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება მისი თვითღირებულებით, რომელიც შეიცავს: შეძენის ფასს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯებს, განზაყების ხარჯს, გეზის მომსახურების ხარჯს, არადაბრუნებად გადასახადებს, აქტივის მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადის გასვლის შემდეგ, ხდება შეფასება არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორი, თუ ასეთი ინდიკატორი არსებობს მენეჯმენტი აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. თუ ის ისევ ექვემდებარება ექსპლუატაციას, აღიარდება საბალანსო ღირებულებით ან მოხდება თავიდან შეფასება ქონების შემფასებელი კომპეტენტური პირის მიერ. ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა/ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს კეთდება ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ძირითადი საშუალებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აისახება არასაოპერაციო შემოსავლით საბაზრო ღირებულებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღიარდება ნარჩენი ღირებულებით-თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადა განისაზღვრება ინდივიდუალურად ჯგუფების მიხედვით. მომსახურების ვადას განსაზღვრავს მენეჯმენტი.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა

შენიშვნები

ოფისის აღჭურვილობა

50 წელი

სერვისისათვის დამზარე მოწყობილობები

5-10 წელი

ავიჯი და სხვა ინვენტარი

5-10 წელი

სატრანსპორტო საშუალება

5-10 წელი

5-10 წელი

ბ) არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

შემენილი არამატერიალური აქტივის აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებსა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის. არამატერიალურ აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადა განისაზღვრება 10 წლის ვადით. კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აისახება წარჩენი ღირებულებით თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ჯგუფის არამატერიალური აქტივები წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგ არები	ავეჯი და ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპო რტო საშუალებე ბი	არამატერია ლური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2023	141,762	1,172,767	34,346	114,367		939	1,464,181
შემოსვლა				62,491	80,223		
გადაფასება							
გასვლა							
პერიოდის ცვეთა		(29,528)		(27,542)	(11,633)	(209)	
31 დეკემბერი 2024	141,762	1,143,239	34,346	149,316	68,590	730	1,537,983

გ) ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადა

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

დ) საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში მყოფი ქონება, საიდანაც კომპანია იღებს შემოსავალს ან რომლის საშუალებითაც ზრდის კაპიტალს ან ორივე და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საწარმოს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონებად წარმოდგენილია ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში.

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას აფასებს თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. ჯგუფის საინვესტიციო ქონებას ცვეთა არ ერიცხება.

საინვესტიციო ქონებას ჯგუფი აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლში.

საინვესტიციო კონება

	წილი შვილობილ კომპანიაში 100%	ინვესტიციის შემცირება
ღირებულება 01 დეკემბერი 2023წ მდგომარეობით	4,979,017	20,000
ღირებულება 31 დეკემბერი 2023წ მდგომარეობით	4,959,017	
ღირებულება 01 იანვარი 2024წ მდგომარეობით	4,959,017	-
ღირებულება 31 დეკემბერი 2024წ მდგომარეობით	4,959,017	-

5) ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილი კომპანია არის პირი, რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი არსებობს მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს უფლება, მიიღოს ცვლადი ხასიათის უკუგება ინვესტირების ობიექტთან ურთიერთობის შედეგად და აქვს უნარი, ზეგავლენა მოახდინოს ამ უკუგებაზე ინვესტირების ობიექტზე არსებული ძალაუფლების შედეგად.

კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში აისახება თვითღირებულებით, რომელიც გადახდილი ან გადასახდელი ანაზღაურებაა, ვიდრე ინვესტიცია არ იქნება ჩამოწერილი ან გაუფასურებული. შვილობილი კომპანიებიდან მიღებული დივიდენდები კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მოგება-ზარალის ანგარიშში აღიარდება მაშინ, როდესაც განისაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება, ხოლო შვილობილი კომპანიიდან კაპიტალის მიღებით მცირდება მისი საბალანსო ღირებულება.

6) გუდვილი

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შეძენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში;

გამოკლებული

- იდენტიფიცირებული შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

გუდვილი აღირიცხება ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 10 წლით.

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების / მარაგების აღრიცხვა

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდგომარეობასა და პირობაში მოსაყვანად. (ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს); ასევე ხდება უცხოურ ქვეყნებში ავანსების გადარიცხვა საქონლის შესაძენად, რომელიც საქონლის შემოსვლის მომენტში მარაგებში აღირიცხება გადარიცხული ავანსის ღირებულებით.

-სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდი - უწყვეტი;

-სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი „საშუალო-შეწონილი“;

მარაგებში აღირიცხება ისეთი საქონელი, რომელიც გამოიყენება კომპანიის შიდა მოხმარებისათვის; შენობის სარემონტო მასალა, საკანცელარიო საქონელი, საწვავი და სატრანსპორტო საშუალებისათვის საჭირო საქონელი, რომელიც მიღებულია დოკუმენტურად სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ ფაქტურის, მიღება-

ჩაბარების აქტის, შესყიდვის აქტის საფუძველზე. ასევე ხდება საქონლის მიღება ფიზიკური პირებისგან რომელზედაც ფორმდება შესყიდვის აქტი.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი.

რეალიზაციისათვის განკუთვნილი საქონელი ჩამოიწერება გაყიდვის დროს მიღება ჩაბარების აქტების, დეფექტური აქტების, სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე.

საექსპლუატაციო მასალები, რომლებიც გამოიყენება შიდა მოხმარებისთვის ჩამოიწერება აქტის საფუძველზე ხარჯებში.

სასაქონლო მატერიალური მარაგის ნაშთები:

31.12.2024 31.12.2023

ნედლეული და მასალები	4,065	4,427
საქონელი	4,037,555	5,048,263
სულ	4,041,620	5,052,690

8. ამონაგების აღიარება

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელოა ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფის ამონაგების წყაროს წარმოადგენს: ტექნიკებისა და ნაწილების რეალიზაცია, სარემონტო მომსახურება, შენობის იჯარით გაცემა, საიდანაც მიღებული ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან/მომსახურებასთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელი/მომსახურება გადაეცემა მომხმარებელს. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაზაფხულის ისე მიღების ადგილას, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი/მომსახურება გადაეცემა მომხმარებელს შეთანხმებულ ადგილზე, ჯგუფს აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე/მომსახურებაზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან. მომსახურების შემთხვევაში

შემოსავალი გაყიდვებიდან	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი საიჯარო ქირიდან	307,929	270,508
შემოსავალი მომსახურებიდან	420,365	350,978
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	20,274,249	14,513,615
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(5,035)	(2,847)
სულ	20,997,508	15,132,254

9. შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა

შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ხარჯების აღრიცხვის შინაარსი-ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯები აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

პროდუქციის რეალიზაციის - 7200 სინთეზურ ანგარიშზე, მიწოდებისა და რეკლამის ხარჯები - 7300

სინთეზურ ანგარიშზე, ხოლო ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები - 7400 სინთეზურ ანგარიშზე, რომელთაც საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე ეხსნება სუბანგარიშები. დანახარჯები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით აღიარდება დიფერენცირებულად.

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება შესაბამისად 8100 და 8200 სინთეზურ ანგარიშებზე;

10. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

საქონლის რეალიზება/მომსახურება ხდება როგორც ფიზიკურ პირებზე, ასევე ორგანიზაციებზე, მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება როგორც ჩვეულებრივად ასევე კონსიგნაციით და გადახდილი ავანსის საფუძველზე. ავანსის დროს (თუ ეს არის უცხოური ვალუტა) რეალიზაციის თანხად აღიარდება ჩარიცხული ავანსის დღეს არსებული ეროვნული ბანკის ვალუტის კურსის მიხედვით, დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები	2,828,523	1,534,399
საექვო მოთხოვნები	16,007	20,183
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	137,300	-
გადახდილი ავანსები	301,545	755,434
სულ	3,283,375	2,310,016

11. სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ კონსიგნაციის პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი წლის ბოლოს ხდება დებიტორებთან - კრედიტორებთან შედარება და ფორმდება შედარების აქტები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	37,964	114,705
მიღებული ავანსები	355,887	246,441
სულ	386,833	355,161

12. ფინანსური და საოპერაციო იჯარა

ჯგუფი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ჯგუფს აქვს როგორც საიჯარო ხარჯი, ასევე საიჯარო შემოსავალი. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს კომპანია ხარჯად და შემოსავლად აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით. იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მიღებას ან გადაცემას.

13. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად. ხელფასებს, ბონუსებს, ანაზღაურებად შევსებულებებს, კომპანია ასახავს დარიცხვის მეთოდით იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

ხელფასიდან იქვეთება დაქირავებულის საკუთრებაში არსებული ტრანსპორტით სარგებლობა დაქირავებულის პირადი მიზნებისთვის, რომელიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსით და დაქვითვა ხორციელდება ტრანსპორტის ძრავის მოცულობის მიხედვით.

ჯგუფის მიმდინარე წლის ბოლოს დაქირავებული პირის მიმართ ვალდებულება 36.000 ლარს შეადგენს.

ხელფასები და ბონუსები

2024წ

2023წ

523,582

459,807

14. ბანკის სესხები და ოფერდრაფტები

ა) ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. ჯგუფს აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი თიბისი ბანკიდან უცხოურ ვალუტაში ევროში. ხელშეკრულების ვადა 10 წელი. მიმდინარე წლის ბოლოს სესხის ოდენობა შეადგენს: 937,417 ევროს, ექვივალენტი ლარი 2.747. 194 ლარი.

მომავალი მინიმალური გადასახდელი თანხა შეადგენს:

მომავალ 1 წელში

215 288 ევრო

მომავალ 10 წელში

1.180.292 ევრო

ბ) სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები არის სპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული სესხით სარგებლობასთან. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: ეფექტური სპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული სპროცენტო ხარჯი.

15. წარმომადგენლობითი ხარჯები

ჯგუფის წარმომადგენლობითი ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1%-ით, 1%-ზე გადამეტება კი დაიბეგრება მოგების გადასახადით; ხოლო, თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს (ზარალის შემთხვევაში) გაწეული ხარჯის 1%-ით. წარმომადგენლობითი ხარჯები მოიცავს: მივლინების და სტუმრების მიღების ხარჯებს, რომლებიც მოიცავს სასტუმროსა და საკონფერენციო დარბაზის ხარჯებს, ტრანსპორტის ხარჯებს, კულტურული ღონისძიების და სადილის ხარჯებს.

წარმომადგენლობითი ხარჯების ხარჯებში აღიარება ხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით.

16. ქონების გადასახადი

ქონების გადასახადის გაანგარიშება ხდება ბალანსზე რიცხული აქტივების შესაბამისად საანგარიშო წლის ბოლოს და წინა წლის აქტივების ნარჩენი ღირებულების საშუალო არითმეტიკულით.

17. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება, მოგების განაწილება

ა) ჯგუფის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებებში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ, საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

ბ) მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება. წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება დივიდენდების გასაცემად;

18. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება მაშინ, როდესაც ის სამართლებრივად ხდება გადასახდელი. გადასახდელი დივიდენდი პარტნიორების მიმართ გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია აქციონერთა საერთო კრების შედეგად ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით.

19. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა

-საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად;

-საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით.

20. დამატებითი ღირებულების გადასახადი.

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით. ჯგუფი გაყიდვების/მომსახურების ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში აწარმოებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში (შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გათვალისწინებით).

21. მოგების გადასახადი

საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რომელიც ძალაში შევიდა 2016 წელს და მოქმედებს საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება:

-უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

-ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებული საგადასახადი;

-უფასო მიწოდებები და ზღვრულ მრცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

-საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სპეციფიურად იბეგრება ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, გაცემის მომენტში ასეთი სესხები იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, რომელიც საგადასახადო ორგანოს მიერ ანაზღაურდება სესხის დაფარვის შემდეგ.

- საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით)
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები აისახება საგადასახადო ანგარიშგებაში
- დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

22. ზუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

საწარმოებს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სააღრიცხვო პოლიტიკის ამ თავში შეუძლიათ შეიტანონ დაზუსტებული ანგარიშთა გეგმა დამატებითი ანგარიშების გახსნით.

23. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

ოპერაციები ჯგუფის კომპანიებს შორის არის ელიმინირებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ არის განმარტებული.

24. ანგარიშგების გადაანგარიშება/ შესწორება გამოცემის შემდეგ

კომპანია რეტროსპექტულად ასწორებს წინა პერიოდის არსებით შეცდომებს გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში მას შემდეგ, რაც შეცდომები გამოვლინდება და ამას აკეთებს შემდეგი გზით: იმ წარდგენილი პერიოდის (პერიოდების) შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ყველაზე ადრეული პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა წარდგენილ პერიოდთაგან ყველაზე წინა პერიოდამდე. ფინანსური ანგარიშგება წინა პერიოდების შესადარისი ინფორმაციის ჩათვლით წარმოდგენილია ისე, თითქოს შესწორება განხორციელდა იმ პერიოდში, როდესაც წარმოიშვა ამის აუცილებლობა. შესაბამისად, შესწორების ოდენობა, რომელიც ეხება თითოეულ წარდგენილ პერიოდს, შედის ამ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

25. ბალანსის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ. არსებობს ორი ტიპის

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.

წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ იქნა

გამოყენებული, ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც: (ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და (ბ) მართლზომიერად

მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომები, სააღრიცხვო

პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევები. საწარმომ რეტროსპექტულად ასწორებს წინა

საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომას მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში, შემდეგნაირად:

ა) იმ წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდების შესადარისი თანხების გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან ბ) თუ შეცდომა დაშვებული იყო წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულ პერიოდამდე, ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით. როდესაც შეუძლებელია შეცდომის გავლენის განსაზღვრა ერთი ან მეტი წინა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდის შესადარის ინფორმაციაზე, საწარმო ახდებს ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებას, რომლისთვისაც შესაძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშების განხორციელება. ჯგუფში საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი ჰქონდა მოვლენებს, რომელმაც იმოქმედა ფინანსურ ანგარიშგებასა და მოგება ზარალის ანგარიშგებაზე. შემცირებულია საინვესტიციო ქონება მოგება ზარალის ხარჯზე. სხვა შემდგომი მოვლენები არ განხორციელებულა რაც გასამყდავნებელია განმარტებით შენიშვნებში.

26. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2025 წლის 31 ივლისს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ .

დირექტორი: ამირან ბასილაძე



დირექტორი რუსლან ბასილაძე

